## *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის*

### ოქმი №1

ქ. ვანი 13 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ალექსანდრე მჟავანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭელიძე - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, წევრი.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით თავისუფლების ქ. №63-ში მდებარე შენობის რემონტის, სტადიონის კაპიტალური რემონტის I ეტაპის, ზედავანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების, თავისუფლების ქუჩაზე არსებულ სკვერში გარე განათების მოწყობის, ცენტრალურ მოედანთან სკვერის მოწყობის, თავისუფლების ქ.№64 მდებარე ბინის ფასადის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კონკურსის ჩატარების შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე მჟავანაძე

კომისიის წევრები:

1. ავთანდილ ჭელიძე
2. შოთა კორძაძე
3. აკაკი წერეთელი

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი